№ 690 შაბათი, 28 ნოემბერი. 1896—1898 შაბათი, 28 ნოემბერი № 690

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 დღ „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Гифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

მეორმოცე დღეს გარდაცვალებასა

## თ. ილია დავითის ძე ხერხეულიძისა

გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი ორშაბათს, 30 ნოემბერს, წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში ვერაზე. წირვა დაიწყება დილის $10^1/_2$ საათზე. (2—1)

---

## ქართული თეატრი

კვირას, 29 ნოემბერს

ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან ქ-ნ **მესხის** და ბ-ნ **ყიფიანის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

## სამშობლო

დრამა 5 მოქმ. თავ. დ. ერისთავისა

მოთამაშენი: ქ.ქ. მესხი, ჩერქეზიშვილისა, გარელი; ბ.ბ. ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, იმერიძე, იმედაშვილი, ხოსროევი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **ქ. მესხი**

ხუთშაბათს, 3 დეკემბერს, დანიშნულია ქ-ნ კარგარეთელის ბენეფისი ☛

**ადგილების ფასი დაკლებულია**—ლოჟები ლიტერისა 9 მან., ბენუარისა 6 მან., პირდაპირი 4 მ. 50 კ., გვერდისა 3 მ. 50 კ. ამფითეატრი 50 კ. პარტერი: სკამი 1 რიგისა 3 მ.; 2 და 3 რიგისა 2 მ.—4 და 5—1 მ. 50 კ.; 6, 7, 8 და 9—1 მ. 20 კ.; 10, 11 და 12—1 მ.; 13 და 14—80 კ.;—15 და 16—60 კ. გალერეა: პირდაპირი I რიგ. 40 კ., დანარჩენი 35 კ. გვერდისა I რიგ. 35 კ. დანარჩენი 25 კ.

---

კვირას, 29 გიორგობისთვეს, საღამოს 6 საათზე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## საგანგებო კრება

ქართველთა სააღებ-მიმცემო ამხანაგობის

## „შუამავალის“

კრება უსათუოდ შესდგება, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი დაესწრება მას წილის პატრონი.

კრებამ უნდა აღმოირჩიოს: 1) თავმჯდომარე კანტროლისა საანგარიშოდ წარსული წლიური კრების დადგინებისა და 2) ფირმის წარმომადგენელი, რომელიც თავს ანებებს 1899 წლიდან.

გარდა ამისა კრებას წარედგინება განსახილველად ზოგიერთი შინაური საქმეებიც.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (6—5)

---

1899 წლისათვის ვაპირებ გამოცემას

## ჟუბის წიგნისას კალენდრით

რომელიც დაიბეჭდება რიცხვით 5000-მდე. ვიღებ განცხადებებს პირველ გვერდზე—5 მან., უკანასკნელზე—2 მან.

ადრესი. *Квирилы. Ивану Ардишвили.* (15—5)

---

გაბრიელ ეპისკოპოსის

## სადარბაზო სურათი

ტუშით დახატული, ერთის ალაბის სიმაღლე და სიგანე, მშვენიერ ხავერდის ჩარჩოში ჩასმული, ისყიდება „ქართველთა შორის წ. კითხვის გამავრ. საზოვადოებაში“.

ფასი 35 მან. (5—2)

---

დაიბეჭდა 1899 წლის

ქართული

## კედლის კალენდარი

შედგენილი **გრ. ჩარკვიანის** მიერ

ისყიდება ყველგან ქართულ წიგნებით მოვაჭრეებთან.

ფასი ყველგან 40 კაპ.

უმთავრესი საწყობი: Тифлисъ. Писчебумажный магазинъ С. М. Лазаревой. (5—1)

---

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

## БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

---

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ბერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიასთან საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лечебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

---

## ახალი ამბავი

*** ქართულმა წარმოდგენამ გუშინ კოტე მესხის საბენეფისოდ დიდძალი საზოგადოება მოიზიდა, თეატრი თითქმის სავსე იყო. წარმოდგენამ იშვიათის მხიარულობით ჩაიარა. თვითონ მობენეფისე კ. მესხი მთავარ როლში გაკოტრებულ აზნაურს დონ-სეზარს დე-ბაზანს საგანგებოდ თამაშობდა და ყოველს მის სიტყვაზე საერთო სიცილ-ხარხარი გაისმოდა თეატრის დარბაზში. მობენეფისეს მიართვეს საჩუქრები და საზოგადოდ საზოგადოებამ მრავალ გზით დააჯილდოვა ტაშის კვრით და „ვაშას“ ძახილით. ამავე საღამოს პირველად გამოვიდა ამ სეზონში ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ქალი ეფემია მესხი და თუმცა როლი მაინც საიმისო არ იყო, მაგრამ საუცხოვოდ შეასრულა. საზოგადოდ ყველა მოთამაშენი კარგად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია კვირას, წარმოდგენილი იქნება ისტორიული დრამა „სამშობლო“.

*** ახალი დანიშნულება. ობერ-აფიცრის თავისუფალ თანამდებობაზე, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან დანიშნულ იქმნა 39 ნარევის დრაგუნის რაზმის შტაბს-როტმისტრი ბარანოვი.

*** საქველ-მოქმედო წარმოდგენა რუსულად. ხვალ, კვირას, ტფილისის საარტისტო საზოგადოების სცენაზე საქველ-მოქმედო წარმოდგენა იქნება გამართული სოლოლაკის ამაღლების ეკკლესიის სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. ბილეთები იყიდება ეკკლესიის სამზრუნველოს თავმჯდომარის ბ-ნ კრაევიჩთან, ამაღლების ეკკლესიის მოძღვართან და არტისტიულ საზოგადოების კასაში.

*** საქალებო სასწავლებლის გადაკეთება. კავკასიის სამოსწავლო

[მ]თავრობა ამ ჟამად შეუდგა იმ [სა]კითხის განხილვას, რომელიც [აღ]ძრა განჯის საგუბერნიო ადმინისტრაციამ იქ არსებულ საქალაქო სასწავლებლის გადაკეთების შესახებ.

*** დარუბანდის რკინის გზა. [გვ]ატყობინებენ დარუბანდიდან, რომ რკინის გზა უკვე დარუბანდს გასცილებია და ბაქოსაკენ დაუხვევია, ოც ვერსზე მეტია ლიანდაგი დაგებული. მუშაობა საოცრად სწრაფად მიდის, ასე რომ დღეში ვერს-ნახევარს აწყობენ ლიანდაგს. თუ ასე წავიდა საქმე, დამდეგ ამ დროს ბაქო უკვე შეუერთდება რუსეთის რკინის გზას და მაშინ უეჭველია გზა ექნება ჩვენი ქვეყნის ნაწარმოებს რუსეთის ბაზრისაკენ.

*** სამხედრო ბეგარა. მომავალ 1899 წლისთვის კენჭი უნდა ამოიღონ სამხედრო ბეგარის მოსახდელად იმ ახალგაზრდა პირთ, რომლებიც დაბადებულნი არიან 1 ოქტომბერს, 1877 წ. და 1 ოქტომბერს 1878 წ. ყველა იმ პირთ, რომლებმაც ამ დღისთვის კენჭი უნდა ამოიღონ, ისინი 1 იანვრამდე 1899 წ. უნდა ჩაეწერნენ იმ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც მათი მშობლები არიან ჩაწერილნი.

ტფილისის მეშჩანები და მოქალაქენი მოვალენი არიან ეხლავე წარუდგინონ ქალაქის საბჭოს მოწმობანი, რომ ისინი არიან ქალაქის მეშჩანები და დაიბადნენ 1 ოქტომბერს 1878 წ. ტფილისში მოსწავლე პირნი მოვალენი არიან წარმოადგინონ იმ სასწავლებლის მოწაფენი, რომელშიაც ისინი სწავლობენ ისევე 1 იანვრამდე 1899 წლამდე.

ამგვარადვე მოვალენი არიან კეთილშობილთა წოდებისანიც მაგ., მოხელეთა შვილები, აფიცრებისა, მღვდლისა და სხ. ამავე მომავალ 1 იანვრის 1899 წლისთვისვე მიმართონ ტფილისის სამხედრო ბეგარის მართველობას ჩაეწერონ და იქვე წარუდგინონ მოწმობის ქაღალდები დაბადებისა და ნათლობის შესახებ.

*** ახალი ქართული კედლის კალენდარი. გამოვიდა 1899 წლის კედლის ქართული კალენდარი, საბა-სულხან ორბელიანის სურათით, შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ და გამოცემული ს. მ. ლოხარევის და გრ. ჩარკვიანის მიერ. ფასი კალენდრისა ორი აბაზია.

*** შეცდომის გასწორება. გუშინდელს ჩვენს გაზეთში იყო ამბავი, ვითომც ჯავროვმა სასიკვდილოდ დასჭრა ი. კანდელაკიშვილი. ეს შეცდომაა. კანდელაკიმ დასჭრა ი. ჯავროვი, ... იმ პირობებში, როგორც გუშინ იყო მოყვანილი გაზეთში.

*** **დარუბანდი.** ისევ აქაურ ქართველ მუშებზე და ვაჭრებზე. აქ დარუბანდის რკინის გზაზედ ორიოდე ქართველობაა—ნაცვლად იმისა, რომ იგინი საქმეში ერთი მეორეს ხელს უმართავდეს, რომ თავისი ძმა უცხოს არ დააჩაგვრინოს, მიჰყოლიან ბატონო და ერთი მეორეს საქმეებს ხელიდან აცლიან! აგერ ერთი ქართველი რაღაცა საქმეებს აპირობს. ემზადება მის ხელის მოკიდვას, მაგრამ ჩვენებურათა ძველებურათა—„დაფით და ნაღარით“. აგე მოჭკრაყური მეორე ქართველმაც ამ საქმის ვითარებას და საღერღელი აეშალა—გაუხდა მეტოქეთ პირველს, ისიც მოწადინებულია ამ საქმეს ჩაავლოს ხელი და თავის ძმას ლუკმა ხელიდან გამოაცალოს! აგე მესამემაც თვალები აჭყიტა პირველთ ღრიანცელით გამოღვიძებულმა და გაჩნდა წეწვა-გლეჯა და ერთი მეორის ჯიბრით ერთ-ერთს მათგანს ჩალის ფასად ეძლევა საქმე და შიგ ზარალის მეტი აღარა ყრია-რა. ამღები საქმისა ველარც თვით ხეირობს და სხვასაც ხელიდან გამოაცალა საქმე. რა გინდოდა ძმაო რათ შემეცილე, მე ვიღებდი მაგ საქმეს, ას თუმნადაც მეხვეწებოდნენ, რათ დაუწიე ფასი—რა ხეირს ნახავ, რომ ოთხმოც თუმნათ აგიღია—ეუბნება წყრომით მეორე.

თქვე დალოცვილის შვილებო, თუ ეგეთი მეტოქეობაც შეგიძლიათ, ეგ გამბედაობა და გამჭრიახობა იქ გამოიჩინოთ, სადაც ბატონ-პატრონობენ გუშინდელი გადმოხვეწილნი და დღეს ცდილობენ ყმა-მოჯამაგირედ გაგიხადონ?!

უწინ ჩვენი მამა-პაპა იარაღს ლესდა, ის იყო მათი საქმე—დღეს ჩვენ ორმოების თხრა ცვარგუნა დროთა ვითარებამ, მაგრამ ისინი იარაღს მტრისთვის ლესდა და ჩვენ კი „ორმოების“ თხრა შინაურთათვის დაგვიწყვია!!

დრო არის, დრო, ღმერთმანი, ჩავუფიქრდეთ და დამშვიდებულის ჭკუა-გონებით გავარჩიოთ კარგი ავისაგან.

ვინმე ტეხნიკოსი

*** **დ. სამტრედია** (იმერეთი). ვაჭრის თავ-გასულობა. ამ დაბაში ნავთის საწყობი აქვს მხოლოდ ორ ვაჭარს, რომლებმაც ნავთი ძალიან გაგვიძვირეს, ნამეტურ ბ. სიხარულიძე გვაძრობს ტყავს; როცა აბრამიძეს ნავთი აქვს, მაშინ სიხარულიძეც 1 მ. 10 კ. ჰყიდის ფუთ ნავთს, და თუ პირველს ნავთი შემოაკლდა, მაშინ კი მეორე ვაჭარი ფუთ ნავთს 1 მ. 30 კაპ. ... აბრამიძეს ნავთი ძალიან დაუგვიანდა, უეჭველია ბ. სიხარულიძე ფუთ ნავთს 1 მ. 40 კ.-დაც გაჰყიდის. ჩვენც სხვა გზა არა გვაქვს და ვიხდით ნავთში უზომო ფასს. ურიგო არ იქნება ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, ვისგანაც ჯერ არს.

სამტრედიელი

*** **დ. ზესტაფონი** წრეულს აქეთ კარგი ღვინის მოსავალი იყო. ღვინო ჩვენს დაბაში ძალიან იაფათ იყიდება. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ თითქმის დღე არ გაივლის, აქ ჩხუბი არ მოხდეს; სხვათა შორის ოც ნოემბერს შემდეგი შემთხვევა მოხდა. ამ დღეს აქ ჩამოვიდა ვიღაც კ. ჩხ—ძე; შექეიფიანდა კარგი ღვინით და დაერია აქაურ „დესეტნიკებს“. ამ ჩხუბს თითონ მაზრის უფროსიც დაესწრო, მან ბევრჯერ დაუძახა: „გაჩერდი, დაყარე იარაღიო“! მაგრამ გალაღებულ ჩხ—ძე მერე კი გაიქცა. დიდი ნხის შემდევ, როგორც იყო შეიპყრეს და ვირის აბანოში ამოაყოფინეს თავი.

სოფლელი

*** მადლობა შემაწარულებისთვის. ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ქვემორე აღნიშნულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ფულით შემწეობა აღმომიჩინეს.

მღ. დიმიტრი ქიქოძემ—10 მან. მაკა გურიელმა—5 მან. ივანე მაჭუტაძემ -5 მ., ისიდორე ქიქოძემ—3 მ., ნინო შარაშიძისაგან—3 მ, ორ-ორი მანათი: ელენა გურიელმა, მღ. სერგო გალოგრემ, ანნა თიკანაძემ, მიხეილ ახალაძემ, თითო მანათი: ბედია კობახიძემ, იესე თავართქილაძემ, ვარდიკო გეგენავამ, ნიკიფორე მამინაშვილმა №№, არსენ მამულაშვილმა, ივანე ძიძიშვილმა, გიორგი მარგალიტაძემ და გიორგი ჯინჭარაძემ, სულ 43 მანეთი. ეგ ფულები სავსებით მივიღე ქ-ნ ნინო შარაშიძისაგან.

სტუდენტი ეფრემ თალაკვაძე  
ქ. ტომსკი

## საოჯახო ცოდნა.

### ბავშვების აღზრდა ოჯახში

«მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქვენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღვრებითა უფლისათა» (ეფეს. 6, 4).

(საუბარი, წარმოთქმული ქაშვეთის ტაძარში 22 ნოემბერს 1898 წ.)

(შემდეგი*)

ადამიანმა თვისს სიცოცხლეში უნდა შეასრულოს პირ-ნათლად თვისნი მოვალეობანი ღვთისა, მოყვსისა და თვის თავის მიმართ. ამ მოვალეობათა შესრულებაზედ დამოკიდებულია კაცის ცხოვრება საზოგადოებაში. „შეიყვარე ღმერთი და მოყვასი, ვითარცა თავი თვისი“—აი საფუძველი ამ მოვალეობათა. ადამიანი უნდა იყოს ღვთის მადიდებელი, გამომთარგმანებელი და შემასრულებელი მისის ნებისა; მან თვის კეთილ საქმეებით უნდა ადიდოს შემომქმედი თვისი· აი ესაა—მოვალეობანი ღვთისა მიმართ... ადამიანი ვალდებულია განავითაროს თვისის სულის ყოველნი ძალნი და ნიჭნი, გასწმინდოს თვისი სული ბიწიერ გულის-თქმათა და მიდრეკილებათაგან, გახადოს თვისი სული მსგავსად ღვთისა და მუდამ ელტოდეს ზნეობითს სისრულესა. ესაა მოვალეობანი თვისთავის მიმართ. ადამიანი ვალდებულია უყვარდეს მოყვასი, ყოველი სხვა ადამიანი, სიტყვით და საქმით სურდეს მისთვის სიკეთე, შველოდეს მას მწუხარებასა და გასაჭირში. ესაა მოვალეობანი მოყვსისა მიმართ. აი ჭეშმარიტი ცოდნა ადამიანისა და მის დანიშნულების შესახებ, რომელსაც გვაძლევს ჩვენ წმ. ეკკლესია... ამ დანიშნულების აღსრულების საქმეში ადამიანს ხელს უშლის მრავალნი გარემოებანი და პირობანი, მდებარენი კაცის შინაგანში, მისს სულში და გარეშე მისის ბუნებისა, საზოგადოებურს ცხოვრებაში. მისი სიცოცხლე—მუდმივი ბრძოლაა ამ გარემოებათა და პირობათა თანა. ადამიანი გზას ვერ აუქცევს ამ ბრძოლას,—ბრძოლა კანონია ცხოვრებისა, ის სკოლაა ამმაღლებელი ადამიანისა, უკეთუ მას სურს ზნეობითი სიფაქიზე და სიმაღლე. აღზრდამ ამ ბრძოლისთვის უნდა მოამზადოს ბავშვი. უბედურია და საწყალი ის კაცი, რომელიც გულგრილად უცქერის ბრძოლას თვისს ბიწიერ მიდრეკილების მიმართ, ეშინია ამ ბრძოლისა და ესრედ ხდება სასირცხვილო მონად ამ მიდრეკილებისა. ის არაა ღირსი ატაროს ადამიანის წოდება.. ქრისტიანობრივ აღზრდას თვისს საგნად აქვს—მოამზადოს ბავშვი ისე, რომ ის, როდესაც ჰასაკში მოვა, ებრძოდეს თვისი ბუნების ბიწიერ მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა და მუდამ სცდილობდეს ზნეობითს სიმაღლეს, ზნეობითს სიწმინდესა...

ქრისტიანობრივი აღზრდა ბავშვებისა დაიწყების მშობლების სახლშივე. მათის შობის პირველ დღეებიდანვე, მშობლების სახლი ბავშვისთვის პირველი სკოლაა, პირველი სასწავლებელია; ამ სკოლას ღვდლობრივს სკოლას ეძახიან... ერთი ნასწავლი აღმზრდელი სამართლიანად ამბობს: „თვის სიცოცხლის პირველ ... წლის განმავლობაში ბა-

---

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 689.

ვშვი დედისა, ძიძისა და ამხანაგებისაგან სწავლობს გაცილებით უფრო მეტს, ვინემ სტუდენტი პროფესორებისაგან და ქვეყნის გარშემო მოგზაური—ყველა ხალხებისაგან... ამ წლებში აღმოჩენდების სრულიად პირველთესლი ყოვლისავე სიდიადისა და სიმშვენიერისა და იძლევის თვისს პირველ ულორტებს, რომლის მოსავლელად საჭიროა მშვიდი ხელი, მის დამცველი ყოვლისავე მავნე მოვლენისაგან“... ოჯახი—პატარა ეკკლესიაა,—აქ ბავშვმა უნდა შეიძინოს კეთილ-მსახურება, რომელიც საამქვეყნოდაც გამოსადეგია და საიმქვეყნოდათ. ამისათვის მშობლები უნდა სცდილობდნენ ბავშვი იზრდებოდეს ისეთის გავლენის ქვეშ, რომელმაც მას გულში განუვითაროს, განუძლიეროს კეთილ-მსახურება. ამ მხრით ძალიან სასარგებლოა, რომ ბავშვი ოჯახში ჰხედავდეს, კეთილ მსახური და ღვთივ მოშიშის ცხოვრების ცხოველ და ცოცხალ მაგალითებს, რომელიც უფრო ძლიერად მოქმედებენ ბავშვის ბუნებაზედ, ვიდრე მშრალი წიგნები. ოჯახში ყველაფერს უნდა ემჩნეოდეს ცხოველი სარწმუნოების და მაღალ ზნეობის ბეჭედი, ყოველივე უნდა აგონებდეს ბავშვს ღმერთსა, ეუბნებოდეს, ჩასჩურჩულებდეს კეთილისა, სულისა ამაღლებისა და ცხონების შესახებ... ამისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ თითოეულს ოჯახში შესაფერ ადგილს გაკეთებული იყოს სახატე,—რომ ოთახის კედლებზედ გაკრულნი იყვნენ სურათები კეთილშობილურის შინაარსისა, რასაც შეუძლია საკეთილოდ იმოქმედოს ბავშვის აღზრდაზედ... ქრისტიანის ყოველს ოჯახში აუცილებლად უნდა იმექონებოდეს წმ. სახარება, რომლის ხშირად კითხვა დიდს გავლენას იქონიებს ბავშვის ბუნებაზედ... ინგლისში ვერ ნახავთ ვერც ერთს ოჯახს, რომელშიაც არ იმექონებოდეს წმ. სახარება... იქ თითოეული მამა ვალდებულად სთვლის თავისს ვალს კვირა-უქმე დღეს წირვა მოისმინოს, წირვის შემდეგ ოჯახში შეკრუნდეს, მაგიდას მიუჯდეს, შემოისხას მაგიდის გარშემო ცოლ-შვილი, გაშალოს სახარება და წაიკითხოს და ახსნას იქიდამ ის ადგილი, რომელიც ამ დღეს წაკითხულ იქმნა ტაძარში. ოჯახში უნდა იმექონებოდნენ სურათები ხელმწიფისა და მისის მეუღლისა.

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

## სამეცნიერო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)

(შემდეგი *)

ტყემალი. (ქართული, გურული, იმერული) ყომური (მეგრული) ალიჩა (რუსული) პრუნუს ინზიტიტია (ლათინური) შლორენი (სომხური) ალიმჩა (თათრული) ახსინცი (ოსური) ხანი, ისინპეკ-ხანი (ლეკური). მცენარე გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე მას არ ეშინიან არც სიცხისა და არც სიცივისა, ყვავის თეთრად ყველა მცენარეებზე ადრე, მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. გარეული მცენარე მთლად შემოსილია ეკლებში, ამისათვის მას ხშირად ხმარობენ ცოცხალ ღობეების მოსაშენებლად. მაგრამ როდესაც მასზე ამყნობენ შინაურ ე. ი. ბაღურ ალუჩას, მაშინ მას ეკარგება ეკლები, უმსხვილდება ნაყოფი, რომელიც შეადგენს მშვენიერ საჭმელს, როგორც ადრეულა ხილი. ნამყენს და შინ გაზრდილ მცენარეს უწოდებენ ალუჩას. ტყემლის ნაყოფით ამზადებენ მშვენიერ მჟავეს, თათარას და სხვა, რომელსაც ხმარობენ საჭმელში; მრავლდება თესლით გაზაფხულობით და შემოდგომით, ოღონდ ნამყენებით კი გაზაფხულობით და ზაფხულობით.

უნაბი. (ქართული, იმერული, გურული) ურნაბი (მეგრული) გრუდნაია პრიდოროჟნაია იგოლკა (რუსული) ციციფუს ვულგარის (ლათინური) უნაბ (სომხური) ინაბ (თათრული). მცენარე გვარობს ყველა ნიადაგზე, უყვარს თბილი ქვეყნები, ცივ ქვეყნებში სრულებით არ გვარობს, შირაქში (ტფილისის გუბერნიაში) და გლდარაში (ბაქოს გუბ.) ამ მცენარით ტყე ნაყოფი მანამ დამწიფდება მწვანე ფერისაა, როდესაც კი დამწიფდება, მაშინ მუქ მოწითალო ფერისა, ნაყოფი მშვენიერი საჭმელია, და გულის ტკივილის წინაალმდეგი წამალია რის გამო მას აქვს ოჯახში დიდი მოთხოვნილება, გარეულ მცენარეს ტოტები და ყლორტები შემოსილია ეკლებში, მაგრამ ბაღში მოყვანილ ნამყენ მცენარეს კი ეკარგება ეკლები, მცენარე მაგარია და ხანგრძელია, რის გამო მის მასალას მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება. მრავლდება: თესლით, გადაწვენით და პატარ-პატარა ტოტებით, ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომით, ოღონდ ნამყენები კი გაზაფხულობით და ზაფხულობით.

ქლიავი. (ქართული, გურული, იმერული) სლივა (რუსული) პრუნუს დომესტიკა (ლათინური) დამონ (სომხური) გეველი (თათრული) აბხია (აბხაზური) ჩლავი (ოსური). ძალიან ბევრი სხვა და სხვა ჯურისაა, რომლებიც ერჩევიან ერთი-ერთმანერთს ნაყოფის სიმსხოთი, გემოთი, დრო დამწიფებითი, აგებულებითი და სხვა, გვარობს ყველგან და ყველა ნიადაგზე, მას არ ეშინიან არც სიცივისა და არც სიცხისა, უყვარს ნესტიანი ადგილები. ასე რომ ცხელ ადგილებში უნდება ხშირი მორწყვა. ყვავის თეთრათ, მის ყვავილით სარგებლობს ფუტკარი. მის ნაყოფით ამზადებენ: მურაბას, ჟელეს, მჟავეს (ტყლაპს) თათარას, ჰხდიან არაყს, აკეთებენ ღვინოს, დაახმობენ კიდევაც, რის გამო მის ნაყოფს მეურნეობაში აქვს დიდი მოთხოვნილება, მეტადრე გამხმარ ნაყოფს, რომელსაც გზავნიან რუსეთში და საზღვარ-გარეთ ქვეყნებში ათი-ათასი ფუთობით. მრავლდება: თესლით, ბლარტებით გაზაფხულობით და შემოდგომით, ოღონდ ნამყენით კი გაზაფხულობით და ზაფხულობით.

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

ძილი ორმოცდაათი დღით. ორი გამოჩენილი პროფესორი—სკერრიდუ და სტევარტდე—კლიფტონიდგან ერთს გასაოცარს შემთხვევას მოგვითხრობენ: ერთს ინგლისელს 1? წლის ხალგაზრდა ყმაწვილს 50 დღეზე მეტი სძინებოდა. ყმაწვილი ის იყო სწავლას ათავრებდა და მეტად ეძალებოდა გაკვეთილების შესწავლას. გამოცდა კარგათ დაუბოლოვდა და ჯეროვანი წოდების მოწმობაც მიიღო, მას შემდეგ ყმაწვილი სისუსტეს უჩიოდა. გაიარა თვენახევარმა და ყმაწვილს ემჩნეოდა, რომ სულ ეძინებოდა. მშობლებმა იმ მოსაზრებით რომ გაერთოთ ყმაწვილი და აეცდინათ სენი, დააწყებინეს სეირნობა, თეატრში და სხვა გასართობ ადგილებში, მაგრამ უფრო დასუსტდა და სიარულში ზეზელას დაეძინებოდა ხოლმე, ამ საშუალებას თავი დაანებეს და მიმართეს სხვა ზომას. სპა-ჯამითაც არის გაერთოთ; მთელი ნახევარი საათი უნდებოდნენ გაღვიძებას, დააწყებინებდნენ ჯამას, მაგრამ კოვზი პირში რჩებოდა და თავს ღრმა ძილს მისცემდა. მოუბობდა სრულიად სხეული. მოძრაობა დაჰკარგა, უგრძნობლად იხდენდა ქვეშ და შემდეგ ჩუკენს მიეჩვია, თუმცა წინად არ იცოდა, ასე რომ ექიმები იძულებულნი შეიქნენ ხელები შეეკრათ. ავადმყოფის სხეულს შესამჩნევი ცვლილება არ ეტყობოდა, რა: ლოყები და ტუჩები ჩვეულებრივი ჰქონდა ხელ-ფეხი თბილი, შერჩა გრძნობიერება, არ უჩიოდა თავის ტკივილს, მაჯა უცემდა გვიან-გვიან და სუსტათ, „ტემპერატურა“ ჩვეულებრივი, ენა შესამჩნევად შეწითლებული ჰქონდა.

ამ მდგომარეობაში ავადმყოფმა 50 დღე გატანა, და შემდეგ ცოტ-ცოტაობით გამოერკვა. იგრძნო სასმელ-საჭმლის გემოვნება, ავადმყოფობაში სრულიად დაკარგული ჰქონდა. კარგა ხნის შემდეგ ფეხზედ გაიარა, თუმც სულ ბარგანავობდა და გვერდ-გვერდ მიდიოდმოდიოდა. მორჩენის შემდეგ, ოთხმა თვემ გაიარა, რომ ყმაწვილი ფეხში გამართული ვერ დადიოდა. ჭკუა-გონება, მეხსიერება და გრძნობიერება დაუბრუნდნენ. რაც ძილის დროს ემართებოდა ავადმყოფს არ ახსოვდა. შვიდი თვის შემდეგ ყმაწვილი სრულიად გამოსაღდა.

პროფესორების აზრით სტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ დასაბამიდგანვე სჩანს, ვიდრე ჩვენს დრომდე ამ გვარი შემთხვევა თვრამეტი იყო. აქედგან რვა კაცი გამოსაღდა და დანარჩენები ძილშივე დაიხოცნენო.

ივ. კავთელი

## წვრილი ამბავი

—

ბისმარკის მოგონებანი. როგორც ბერლინის გაზეთები იუწყებიან, უკვე დაისტამბა და გამოვიდ აბისმარკის მოგონებანი 100 ათასი ცალი და დიდის სისწრაფითაც იყიდება. ბისმარკს ამ მოგონებაში მეტად საინტერესო ცნობები აქვს მოყვანილი უმაღლესი პოლიტიკას შესახებ.

### ყურმოკრული საუბარი

—

რომელი გაზეთი სჯობია,—განცხადება მინდოდა დამებეჭდა გაზეთში, გასასყიდი მქონდა რამ, მაგრამ ძალიან ბევრსა მთხოვენ.

— მე დალოცვილო, მაგაზე როგორა სწუხარ! ჩემს ცოლს უამბე, მხოლოდ ჩუმად, ვითომ და საიდუმლოათქო, დამერწმუნე, ხვალ მთელს დუნიას ეცოდინება.

—

ბატონი უბრძანებს მოსამსახურეს:

— ივანე, მე დღეს როგორღაც უქეიფოთა ვარ და ჩაიზე წითელი ღვინო მომიტანე.

— წითელი ღვინისა აღარ გახლავთ.

— როგორ არა! აკი გუშინ ერთი ბოთლი დამრჩა!

— ბატონო, გუშინ მე გახლდით უქეიფოთ...

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ნოემბერი

**პეტერბურგი.** 20 ნოემბერს საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიაში სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მონდობილი აქვს 1899 წ. 25 მაისს პუშკინის დაბადების დღიდან ასი წლის იუბილეის პროგრამის შემუშავება. კომისიამ დაადგინა, რომ პროგრამის დაწვრილებით შესამუშვებლად შედგენილ იქნეს აღმასრულებელი კომისია, სამეცნიერო აკადემიის ავგუსტოესი პრეზიდენტის თავმჯდომარეო-

*) იხ. «ცნ. ფურცლის» № 688.

ბით, შემდეგ პირთაგან: ვიცე პრეზიდენტის მაიკოვისა, მდივნისა დუბროვინისა, აკადემიკოსი: ბიჩკოვისა, სუხომლინოვისა, ვესელოვსკისა, შახმატოვისა, სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის ზვერიევისა, გრაფის ტოლსტოისა, ვსევოლოჟსკისა, კონისა, სლიუჩევსკისა, ველდისა, რიმსკიკორსაკოვისა, ოსტროგორსკისა და ისაკავისაგან,

გარდაიცვალა გენერალ-ადიუტანტი აპოსტოლ სპირილონისძე კოსტანდა.

**ბერლინი.** იმ სეფე-სიტყვაში, რომელიც წაკითხულ იქმნა რეიხსტაგის გახსნის დროს. მოხსენებულია, სხვათა შორის, რომ გერმანიას დამოკიდებულება ყველა სხვა სახელმწიფოებთან ისევ მეგობრული რჩება შეუცვლელად. „ჩემი პოლიტიკის უმთავრესი აზრია მხარი დავუჭირო და ხელი შევუწყო, რამდენადაც საქმე მეხება, მთელ ქვეყანაზე მშვიდობიანობის უმეტესად განმტკიცებას. აი ამიტომ მე გულითადი მონაწილეობით მივეგებე ჩემი ძვირფასი მეგობრის—რუსეთის იმპერატორის სულ-გრძელ განზრახვას იმ საერთო შორის კონფერენციის (კრების) მოწვევის შესახებ, რომლის მიზანი უნდა იქნეს მშვიდობიანობისა და არსებული საქმეთა ვითარების დაცვა. იმ წინადადებათ, რომლებიც კონფერენციას წარედგინება და გამოდგება სამერმისოდ სასიქადულო მიზნით წასაქეზებლად, თანაგრძნობით მოეკიდება ჩემი მთავრობა, რომელიც მათ გულ-მოდგინეთ განიხილავს და შეამოწმებს“. შემდეგ იმპერატორი ამბობს: „როცა მე სტამპოლსა, პალესტინასა და ასურეთში ვიყავი, სიხარულით დავრწმუნდი პირადად იმაში, რომ გერმანული ნიჭისა და ზნე-ჩვეულების მოხებით ოსმალეთში მცხოვრებ გერმანელ ქვეშევრდომთ დაუმსახურებიათ პატივის ცემა ადგილობრივ მცხოვრებთაგან. მე და იმპერატრიცამ გულის ძგერით და სულის მღელვარებით ვინახულეთ ის ადგილები, რომლებიც მაცხოვრის ტანჯვის გამო ასე ძვირფასია მთელი საქრისტიანოსათვის. მე აღვსილი ვარ იმ იმედით, რომ ჩემი ყოფნა ოსმალეთის იმპერიაში, ის სტუმართ-მოყვარული და გულითადი მიღება, რომელიც ჩვენ ხონთქარმა გამოგვიჩინა, ის ალტაცებით დახვედრა, რომელიც აღმოგვიჩინეს მე და იმპერატრიცას ყველგან ოსმალეთის მცხოვრებლებმა,—ხარგებლობას მოუტანს გერმანიის სახელს და გერმანიის ინტერესებს.

**ბერლინი.** იმ კანონ-პროექტის ძალით, რომელიც წარუდგინა რეიხსტაგს მშვიდობიანობის დროს ჯარის რაოდენობის შესახებ, 1899 წელს.

1-ლ ოქტომბრიდან ჯარის რიცხვი თან და თან უნდა მატულობდეს ისე, რომ 1902 წლის განმავლობაში ამ რიცხვმა უნდა მიაღწიოს 502, 506-მდე და ეს რიცხვი უნდა დარჩეს 1904 წ. 31 მარტამდე. 1902 წლის გასულს ჯარი უნდა შესდგებოდეს ქვეითი ჯარი 625 ბატალიონისაგან, 482 ესკადრონისა, არტილერიის 575 ბატარეისა, ქვეითი არტილერიას 38 ბატალიონისა, პიონერთა ბატალიონისა, რკინის გზის ბატალიონისაგან. გერმანიის იმპერიის საზოგადო სამხედრო ძალა შესდგება მშვიდობიანობის დროს 23 კორპუსისაგან. გერმანიის იმპერია სამხედრო მხრით განიყოფება 22 სამხედრო ოლქად. კანონი ძალაში შევა 1899 წ. 1-ლ აპრილიდან.

26 ნოემბერი

**პეტერბურგი.** შავი ჭირის საწინააღმდეგო კომისიისაგან: „კიშლავანზოში და ისკანდერის მაზრა (სამარყანდის ოლქი), თავისუფალია შავი ჭირისაგან. 24 ნოემბერს დამთავრდა ბინებისა და ყველა შენობების დეზინფექცია ანზობსა და მის მიდამოებში. მცხოვრებთა ტანისამოსი და საცვალი დაიწვა და დარიგდა ახალი ტანთსაცმელი. შავი ჭირით გარდაცვალებულთა სასაფლაო დაიხურა. ყველა საჭირო განკარგულება სანიტარულ პირობების დაცვის შესახებ მიხდენილია.

**პარიზი.** მონტერო-რიოსმა, ზავის ჩამოგდება კომისიის სხდომაზე, ენერგიული წინააღმდეგობა განაცხადა იმ ცილის-წამებაზე, რომელსაც შეიცავს მაკ-კინლეის ეპისტოლე და რომელიც შეეხება „მენის“ აფეთქებას. მონტერო-რიოსმა წინადადება წარადგინა იმის შესახებ, რომ დანიშნოს კომისია გერმანელთა, ფრანგთა და ინგლისელთაგან აფეთქების მიზეზთა გამოსარკვევად და პასუხის-გების დასადგენად. მერიკის კომისარებმა უარი განაცხადეს ამ წინადადების მიღებაზე.

**პეკინი.** საფრანგეთის ელჩმა გადასცა ტცუნგ-ლი-იამენს ულტიმატუმი, რომლითაც ემუქრება მას, ვეუბრძანებ საფრანგეთის ჯარს საზღვარ-გადასვლას, თუ საფრანგეთის მისიონერებს, რომლებიც სიტშვანის მეამბოხეებმა შეიპყრეს, არ განათავისუფლებთ 10 დღის განმავლობაშიო.

**ლონდონი.** კიჩინერი ქაირში წავიდა, საიდანაც ომდურმანში გაემგზავრება.

**ნიცა.** მატარებლების მიმოსვლის მოსაწესრიგებლად აქ შეკრებილმა კონფერენციამ დაადგინა, რუსეთის დელეგატის იზმაილოვის წინადადებით, რომ მომავალი კონგრესი შეიკრიბება პეტერბურგში 1899 წ. 15 ივნისს.


## განცხადებანი

[illegible]
(სოლოდისაგან)
ერთი [illegible] ღირს 25 კაპ.
იყიდება ყველა საუკეთესო მაღაზიებში
(5—5)

იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

მ. ლაღიძის გამოცემული წიგნები:

| | |
|---|---|
| რჩეული ლექსები და უკვდავი სარდალი, ცახელისა | 10 კ. |
| ნათელა, პოემა აკაკისა | 20 კ. |
| გამზრდელი, მისივე | 5 „ |
| მოდა | 5 „ |
| საუკეთესო ლექსა კრება | 5 „ |
| მარო, დ. მაჩხანელისა | 3 „ |

იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდად

პოემების კრებული

აჩრდილი, მომაკვდავის ჩვენება და იმედი . . . 5 კ.

(50—3)

Подписка на 1899 годъ

„РУСЬ“ 4 руб. въ годъ съ пересылкой.

ежедневная газета и еженедѣльный

„Иллюстрированный Листокъ“ 2 Рубля въ годъ съ пересылкой

Издаваясь при «Недѣлѣ», въ одномъ съ нею направленіи, и служа сущ ственнымъ ея дополненіемъ, «Русь» въ то-же время представляетъ собою са стоятельный, полный ежедневный органъ, имѣющій цѣлью,—благодаря учас выдающихся литературныхъ силъ,—доставить интеллигентнымъ читателямъ общедоступной подписной цѣнѣ вполнѣ литературную и серьезную газету.

„НЕДѢЛЯ“ еженедѣльная общественно-политическая газета
„КНИЖКИ НЕДѢЛИ“ ежемѣсячный литературный журналъ
9 Руб. въ годъ съ перес.
Всѣ четыре изданія 15 р. въ годъ съ перес.

Допускается широкая разсрочка

*Подписка принимается:* въ С.-Петербургѣ, въ конторѣ редакціи «Недѣли» и «Руси», Литейный, 9.

Ближайшіе сотрудники: Я. В. Абрамовъ, проф. Н. П. Вагнеръ, П. П. Гнѣдичъ, прив.-доц. В. М. Грибовскій, В. Л. Дѣдловъ, М. Н. Мазаевъ, М. О. Меньшиковъ, П. Е. Накрохинъ, Владиміръ Соловьевъ, акад. И. И. Янжулъ и многіе другіе.

Редакторъ-издатель «Недѣли», издатель «Руси» *В. П. Гайдебуровъ.*

(12—1) Отвѣтственный редакторъ «Руси» *М. В. Головинскій.*

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1899 г.

ПРИРОДА И ЛЮДИ

Издается съ 1889 г —Подписной годъ съ 1-го Ноября.

5 Руб. на годъ *безъ доставки въ Спб.*; въ Москвѣ въ отдѣленіи главной конторы журнала «Природа и Люди» (д. Петровскихъ Торг. л., у Н. Печковской) *5 р. 50 к.*; съ дост. въ Спб. и Москвѣ и перес. во всѣ гор. Россіи *ШЕСТЬ руб.* Допускается разсрочка: при подп. 2 р., къ 1 Марта 1 р., къ 1 Мая 1 р. и къ 1 Іюля остальныя.

*Пробный номеръ высылается за 7 коп. марку.*

52 Иллюстрированныхъ №№ каждый въ размѣрѣ 2 листовъ большаго формата (*16 страницъ плотной печати*) заключаетъ въ себѣ разнообразное, интересное и полезное чтеніе. Девизъ журнала «польза и развлеченіе». Редакція тщательно избѣгаетъ всего, что отзываетъ сухостью, всего что можетъ наводить скуку на читателя.

12 ИЛЛЮСТРИРОВАН. ВЫПУСКОВЪ (болѣе 300 рисун.) „Полезной библіотеки

„Земля и ея народы“ составляющихъ *ДВА тома* соч Гельвальда

(«Живописная Европа», „Живописная Африка», «Живописная Австралія съ Океаніей» и «Полярныя страны»).

И, кромѣ того, *новое* безплатное приложеніе

12 ТОМОВЪ сочиненій ГУСТАВА ЭМАРА Объемомъ болѣе 3.000 стран. болщаго формата убористой печати.

Журналъ «*Природа и Люди*», вступая въ десятый годъ изданія, будетъ по прежнему неуклонно идти къ своей цѣли—быть общедоступнымъ журналомъ *для семейнаго чтенія*, равно *интереснымъ для всѣхъ и каждаго.* Постоянно возростающее число подписчиковъ указываетъ на потребность такого журнала въ нашемъ обществѣ и на успѣхъ его.

Подписка принимается въ главной конторѣ: С.-Петербургъ, Стремянная, собств. домъ, № 12.

Издатель *П. Сойкинъ.* (4—4) Редакторъ *Ф. Груздевъ.*